GE RMIDP FA5.doc/GY
იურიდიული განყოფილება
კონფიდენციალური ვერსია
(ექვემდებარება ცვლილებებს)
გ.იუნესი
2008 წლის 23 სექტემბერი

დაფინანსების ნომერი 4516- GE

დაფინანსების ხელშეკრულება

(რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)

გაფორმებული

საქართველოსა

და

საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის

თარიღი ———, 2008

დაფინანსების ნომერი ———— - GE

დაფინანსების ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება, დათარიღებული ————, 2008 წლით, ფორმდება საქართველოს ("სესხის მიმღები") და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას ("ასოციაცია") შორის. სესხის მიმღები და ასოციაცია თანხმდებიან:

I მუხლი

ზოგადი პირობები და დეფინიციები

1.01. ზოგადი პირობები (წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოყვანილი განსაზღვრების შესაბამისად) წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.02. გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები გამოიყენება ზოგად დებულებებში და წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული მნიშვნელობით.

II მუხლი. დაფინანსება

2.01. წინამდებარე დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული ან მითითებული პირობების თანახმად ასოციაცია თანხმდება გამოყოს სესხის მიმღებისთვის კრედიტი ოცდახუთი მილიონ ხუთასი ათასი სპეციალური ნასესხობის ერთეულის (SDR 25,500,000) ექვივალენტის ოდენობით (შემდგომში მოხსენიებული როგორც "კრედიტი" ან "დაფინანსება"), წინამდებარე ხელშეკრულების 1 განრიგში აღწერილი პროექტის (შემდგომში „პროექტი") დაფინანსებაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

2.02. სესხის მიმღებს შეუძლია დაფინანსების თანხების გამოთხოვა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის IV ნაწილის შესაბამისად.

2.03. სესხის მიმღები გადაუხდის ასოციაციას ვალდებულების გადასახადს დაფინანსების აუთვისებელ ძირითად თანხაზე, რომლის მოცულობა წელიწადში ერთი პროცენტის ერთ მეორედს (1%-ის 1/2) არ აღემატება.

2.04. სესხის მიმღები გადაუხდის ასოციაციას მომსახურების გადასახადს, რომლის წლიური განაკვეთი ჩამორიცხული თანხის ერთი პროცენტის სამ მეოთხედს შეადგენს (1%-ის 3/4).

2.05. გადახდები ხორციელდება ყოველი წლის 15 იანვარს და 15 ივლის.

2.06. კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 განრიგში ასახული გადახდის გრაფიკის შესაბამისად განხორციელდება.

2.07. ანგარიშსწორების ვალუტა იქნება აშშ დოლარი.

III მუხლი. პროექტი

3.01. სესხის მიმღები აღიარებს თავის ვალდებულებას პროექტის მიზნების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, სესხის მიმღები უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელებას, ზოგადი პირობების IV მუხლისა და საპროექტო ხელშეკრულების დებულებების თანახმად.

3.02 წინამდებარე ხელშეკრულების 3.01 პუნქტის დებულებების შეუზღუდავად და გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხის მიმღები და ასოციაცია სხვაგვარად შეთანხმდებიან, სესხის მიმღები პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის დებულებების შესაბამისად.

IV მუხლი. ასოციაციის დამცავი მექანიზმები

4.01. ხელშეკრულების შეჩერების დამატებითი პირობას წარმოადგენს: პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის კანონმდებლობის ცელილება, შეჩერება, გაუქმება, ანულირება ან უარის თქმა, რამაც შესაძლოა მატერიალურად იმოქმედოს და ზიანი მიაყენოს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესაძლებლობებს შეასრულოს საპროექტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები.

4.02. აკსელერაციის დამატებითი პირობა შემდეგში მდგომარეობს: თუ ადგილი ექნება წინამდებარე ხელშეკრულების 4.01 პუნქტში მითითებული მოვლენას და იგი გაგრძელდება 60 დღის მანძილზე მას

შემდეგ, რაც ასოციაცია ამ მოვლენის შესახებ შეატყობინებს სესხის მიმღებს.

V მუხლი. — ძალაში შესვლა; შეწყვეტა

5.01. ძალაში შესვლის დამატებით პირობას წარმოადგენს: თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმება სესხის მიმღებისა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სახელით.

5.02. დამატებითი იურიდიული საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: თანხის გადაცემის ხელშეკრულება დროულად იქნება დადასტურებული ან რატიფიცირებული სესხის მიმღებისა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ და სესხის მიმღები და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია იურიდიულ ვალდებულებებს აიღებენ ასეთი შეთანხმების პირობების თანახმად.

5.03. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ოთხმოცდაათი (90) დღის ვადაში.

VI მუხლი. სესხის მიმღების წარმომადგენელი; მისამართები

6.01. სესხის მიმღების წარმომადგენელია სესხის მიმღების ფინანსთა მინისტრი

6.02. სესხის მიმღების მისამართია:

ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქ. №16
0105, თბილისი,
საქართველო
ფაქსიმილე: +99532-446461

6.03. ასოციაციის მისამართია:

International Development Association:
1818 H Street, N.W.
Washington, D.C. 20433

United States of America

ტელეგრაფი	ტელექსი:	ფაქსიმილე:
INDEVAS	248423 (MCI)	1-202-477-6391

Washington, D.C.

შეთანხმდნენ საქართველოში, თბილისში, ზემოთ მითითებულ დღეს და წელს.

საქართველო

უფლებამოსილი წარმომადგენელი

საერთაშორისო განვითარების ასოციაცია

უფლებამოსილი წარმომადგენელი

განრიგი 1

პროექტის აღწერა

პროექტის ამოცანებია: (ა) შერჩეული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ქმედითუნარიანობისა და საიმედოობის სრულყოფა და (ბ) სესხის მიმღების კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში და ინფრასტრუქტურისა და მომსახურების აღდგენაში დახმარება

პროექტი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

<u>ნაწილი ა</u>: <u>ინვესტიციები ინფრასტრუქტურა</u>ში

1. ფინანსური რესურსების გამოყოფა კრედიტუნარიანი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, რათა შეძლონ საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინანსება ძირითადი მუნიციპალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის საჭიროებების რეაბილიტაციის და გაუმჯობესების მიზნით, სამუშაოების ჩატარების, საქონლის მომარაგებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით.

2. საგრანტო რესურსის გამოყოფა არაკრედიტუნარიანი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის პროექტებში საინვესტიციო ქვეპროექტების განხორციელების მიზნით, სამუშაოების ჩატარების, საქონლის მომარაგებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით.

<u>ნაწილი ბ</u>: <u>გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და მშენებლობა</u>

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების, საზოგადოებრივი შენობების, თავშესაფრების და ხანგრძლივი მოხმარების საცხოვრებელი

ობიექტების გადაუდებელი რეაბილიტაცია, სამუშაოების ჩატარების, საქონლის მომარაგებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით.

<u>ნაწილი გ: ინსტიტუციონალური განვითარება</u>

ფინანსთა სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ადგილობრივი თვითმმართველობების, მუნიციპალიტეტების და კომუნალური დაწესებულებების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერება და საქონლის მომარაგების, საკონსულტაციო მომსახურებისა და ტრენინგების ჩატარების გზით დახმარების გაწევა რათა შეძლონ ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც გაზრდის მათ შესაძლებლობებს ეკონომიურად და ეფექტურად შეასრულონ კომუნალური მომსახურების ფუნქციები,

განრიგი 2

პროექტის განხორციელება

ნაწილი I. <u>განხორციელების ღონისძიებები</u>

ა. ინსტიტუციონალური ღონისძიებები

1. სესხის მიმღები უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელებას ასოციაციისათვის მისაღები სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად, აღნიშნული სახელმძღვანელოში მოცემული უნდა იყოს პროექტის განხორციელებისა და კოორდინაციისათვის საჭირო ძირითადი ინსტრუმენტები, რაც მოიცავს: (ა) მომარაგებისა და ფინანსური მართვის პროცედურებს; (ბ) დასაკმაყოფილებელ კრიტერიუმებს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის და საინვესტიციო ქვეპროექტების განხორციელებისათვის; (გ) საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინანსების პირობებს; (დ) შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და საინვესტიციო ქვეპროექტების

განხორციელების ზედამხედველობას; და (ე) კადრებით დაკომპლექტებას, მართვას და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მოვალეობებს.

2. პროექტის სათანადო კოორდინაციისა და განხორციელების მიზნით, მიმღებმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტს ზედამხედველობა გაუწიოს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭომ, რომლის თავმჯდომარე იქნება საქართველოს პრემიერ მინისტრი, ან ფინანსთა მინისტრი. სხვა ფუნქციებთან ერთად, ზემოდ ხსენებული საბჭოს ფუნქციები მოიცავს: (ა) პროექტის შესრულების ზედამხედველობა; (ბ) სააგენტოების შორის კოორდინაცია, პროექტის ამოცანების მისაღწევად; და (გ) პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მუშაობისათვის წლიური სამუშაო პროგრამების ბიუჯეტებისა და ანგარიშების შემოწმება და დამტკიცება.

ბ. **თანხის გადაცემის ხელშეკრულება**

1. პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სესხის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს დაფინანსების თანხებიდან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის დაფინანსების უსასყიდლოდ ხელმისაწვდომობა, სესხის მიმღებისა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შორის გაფორმებული **თანხის გადაცემის ხელშეკრულების** ფარგლებში, ასოციაციის მიერ დამტკიცებული პირობების თანახმად ("**თანხის გადაცემის ხელშეკრულება** ").

2. სესხის მიმღები გამოიყენებს **თანხის გადაცემის ხელშეკრულების** ფარგლებში მინიჭებულ უფლებებს ისე, რომ სესხის მიმღებისა და ასოციაციის ინტერესები იყოს დაცული და დაფინანსების მიზნები იყოს მიღწეული. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასოციაცია სხვაგვარად განსაზღვრავს, სესხის მიმღები არ დაადგენს, შეცვლის, გააუქმებს ან უარს იტყვის **თანხის გადაცემის ხელშეკრულებაზე** ან მის ნებისმიერ დებულებაზე.

გ. **ანტი-კორუფციული სტრატეგია**

სესხის მიმღები უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას ანტი-კორუფციული სტრატეგიის შესაბამისად.

დ. გარანტიები

1. სესხის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს სამოქმედო სახელმძღვანელოში გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ზომების დროული ჩატარება და სამოქმედო სახელმძღვანელოში მითითებული ანგარიშგების მოთხოვნებისამებრ გაითვალისწინოს შესაბამისი ინფორმაცია ამგვარი ზომების ჩატარების შესახებ. სესხის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ გარემოს დაცვის მექანიზმი იქნეს დროულად გამოყენებული ყველა იმ საინვესტიციო ქვეპროექტისათვის, რომელსაც ასეთი გარემოს დაცვის მექანიზმი ესაჭიროება და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია ზედამხედველობის ვალდებულებების შესაბამისად, როგორც ეს წინამდებარე ნაწილის ა.1. პარაგრაფშია აღნიშნული. თუ პროექტის ნაწილი ბ-ს ფარგლებში საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინანსება უფლებადართული იქნება, ნებისმიერი სამუშაოების დაწყებამდე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და გარემოს დაცვის მექანიზმის გამოყენება, უნდა იყოს დასრულებული ისე რომ ეს აკმაყოფილებდეს ასოციაციას.

2. სესხის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მოიცავს მიწის სავალდებულო შეძენას ან მიწის მფლობელების ან მასზე დასახლებული პირების განსახლებას მოხდება განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც ასოციაციის მიერ იქნება მოწონებული და რომლის მომზადება და განხორცილება მოხდება განსახლების პოლიტიკის (Resettlement Policy Framework) შესაბამისად.

ნაწილი II. პროგრამის მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასება

ა. პროექტის ანგარიშები

სესხის მიმღებმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი, შეაფასოს პროექტის მიმდინარეობა და უზრუნველყოს პროექტის განმახორციელებლის მიერ პროექტის ანგარიშების მომზადება ზოგადი

პირობების 4.08 ნაწილის შესაბამისად და ასოციაციასთან შეთანხმებული ინდიკატორების საფუძველზე. ყოველი ანგარიში უნდა მოიცავდეს ერთ კალენდარული სემესტრის პერიოდს და უნდა იყოს მიწოდებული ასოციაციისთვის არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში ასეთი პერიოდის დასრულების შემდეგ.

ბ. ფინანსური მართვა, ფინანსური ანგარიშები და აუდიტი

1. სესხის მიმღები დაიცავს ან უზრუნველყოფს ფინანსური მართვის სისტემის დაცვას ზოგადი პირობების 4.09 ნაწილის დებულებების თანახმად.

2. წინამდებარე ნაწილის "ა" პარაგრაფის დებულებებით შეზღუდვის გარეშე მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ ყოველი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორმოცდახუთი დღის ვადაში, მოამზადოს და წარუდგინოს ასოციაციას შუალედური, აუდიტის მიერ შეუმოწმებელი ფინანსურ ანგარიშები, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის ყოველ კვარტლის, იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც დააკმაყოფილებს ასოციაციას, .

3. პროექტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშები ჰქონდეს აუდიტორულად შემოწმებული ზოგადი პირობების 4.09 ნაწილის დებულებების მიხედვით. ამ ფინანსური ანგარიშების ყოველი აუდიტორული შემოწმება უნდა მოიცავდეს სესხის მიმღების ერთ ფისკალურ წელიწადს. თითოეული პერიოდის მომცველი ფინანსური ანგარიშები უნდა მიეწოდოს ასოციაციას აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში.

ნაწილი III. <u>შესყიდვები</u>

ა. <u>ზოგადი</u>

1. **საქონელი და სამუშაოები.** პროექტისათვის საჭირო ყველა საქონელი და სამუშაოები, რომელთა დაფარვა მოხდება დაფინანსებიდან იქნება შესყიდული შესყიდვების ინსტრუქციების I ნაწილის მოთხოვნების და წინამდებარე ნაწილის დებულებების თანახმად.

2. **საკონსულტაციო მომსახურება.** პროექტისათვის საჭირო ყველა საკონსულტაციო მომსახურება, რომლის დაფარვა მოხდება დაფინანსებიდან, იქნება შესყიდული შესყიდვების ინსტრუქციების I და IV ნაწილების მოთხოვნების და წინამდებარე ნაწილის დებულებების თანახმად.

3. **დეფინიციები.** წინამდებარე ნაწილში გამოყოფილი ტერმინოლოგია, რომელიც აღწერს შესყიდვების კონკრეტულ მეთოდებს, ან ასოციაციის მიერ კონკრეტული კონტრაქტების შემოწმების მეთოდებს, უკავშირდება შესაბამის მეთოდებს, რომლებიც აღწერილია შესყიდვების, ან სადაც საჭირო იქნება კონსულტანტების ინსტრუქციებში.

ბ. <u>საქონლის და სამუშაოების შესყიდვის კონკრეტული მეთოდები</u>

1. **საერთაშორისო ტენდერის ჩატარება.** გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია ქვემოთ პარაგრაფ 2-ში, საქონელისა და სამუშაოების შესყიდვა მოხდება საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე.

2. **საქონლისა და სამუშაოების შესყიდვის სხვა მეთოდები.** გარდა საერთაშორისო ტენდერისა, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილია შესყიდვების მეთოდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პროექტის "ა" და "გ" ნაწილებში მითითებული საქონლისა და სამუშაოების მიმართ. შესყიდვის გეგმაში აღწერილი უნდა იყოს ის კონკრეტული გარემოებები, რომლის დროსაც ამგვარი მეთოდების გამოყენება არის შესაძლებელი:

(ა)

<u>შესყიდვის მეთოდი</u>
(ა) შეზღუდული საერთაშორისო ტენდერი
(ბ) ადგილობრივი ტენდერი, რომელიც ექვემდებარება ქვემოთ მოცემულ დამატებით დებულებებს: (i) "ღია სატენდერო პროცედურები" (ანუ "საჯარო ტენდერი" და არა "ტენდერი") წარმოადგენს სტანდარტულ წესებს. "ერთი კონვერტის პროცედურა" გამოიყენება საქონლის, სამუშაოების, ან ტექნიკური მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით (და არა საკონსულტაციო მომსახურებისათვის). (ii) ტენდერში მონაწილეობაზე მიწვევა გამოცხადდება სულ

ცოტა ერთ გაზეთში, რომელიც ყოველ დღე გამოდის ქვეყნის მასშტაბით, შემოთავაზებების ჩაბარების ვადამდე მინიმუმ 30 დღით ადრე. უცხოურ ენაზე გამოქვეყნებულ გაზეთებშიც, ასევე, შემოთავაზების ჩაბარებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.

(iii) ტენდერში მონაწილეობა არ იქნება შეზღუდული მხოლოდ წინასწარ დარეგისტრირებულ ფირმებისთვის. თუ რეგისტრაცია იქნება საჭირო, მისი უფლება ექნება ყველა ფირმას, რომელსაც გააჩნია საჭირო შესაძლებლობები და რესურსები, რათა წარმატებით შეასრულონ კონტრაქტი (მაგ. ყურადღება არ მიექცევა მათ პროფესიონალურ ორგანიზაციაში სავალდებულო გაწევრიანებას, კლასიფიკაციას და ა.შ.). შემდგომი შეფასება ჩატარდება იმის დასადასტურებლად, რომ ტენდერში მონაწილეს გააჩნია შესაძლებლობები და რესურსები, რათა წარმატებით შეასრულოს კონტრაქტი.

(iv) სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ საწარმოებს ექნებათ უფლება მიიღონ მონაწილეობა ტენდერში, იმ შემთხვევაში თუ დაამტკიცებენ, რომ არიან იურიდიულად და ფინანსურად დამოუკიდებელნი, რომ მოქმედებენ კომერციული სამართლის ფარგლებში და არ არიან მთავრობაზე დამოკიდებული სააგენტოები. სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ საწარმოებს დაექვემდებარებიან იმავე სატენდერო და სამუშაო უსაფრთხოების მოთხოვნებს, როგორც ტენდერის სხვა მონაწილეები.

(v) საქონლის, სამუშაოების, ან ტექნიკური მომსახურების (გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა) შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაციები გამოიყენებენ ბანკის/ასოციაციის სატენდერო დოკუმენტაციის ნიმუშებს და წარადგენენ კონტრაქტისა და კონტრაქტის პირობების სამუშაო დოკუმენტს, რომელიც მოიცავს პარაგრაფებს თაღლითობასა და კორუფციაზე, აუდიტსა და გამარჯვებულის გამოცხადების პროცედურების შესახებ, რომელიც ბანკის/ასოციაციის მიერ იქნება მოწონებული.

(vi) მიღებული შეთავაზებები საჯაროდ იქნება გახსნილი, შემოთავაზებების მიღების ბოლო ვადის გასვლისთანავე. ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების დასწრება ამ ღონისძიებაზე დაშვებული იქნება.

(vii) ტენდერის პერიოდის გაგრძელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 30 დღით. ტენდერის პერიოდის შემდგომი გაგრძელების მოთხოვნა ბანკის/ასოციაციის

წინასწარი დასტურის გარეშე აკრძალულია. (viii) შემოთავაზებების შეფასება დაეყრდნობა რაოდენობრივ კრიტერიუმს, რომელიც ფულადი მახასიათებლით გამოიხატება, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტებში იქნება დადგენილი, ტენდერის შეფასებისას არ იქნება გათვალისწინებული არანაირი დამსახურებების სისტემა და არ მოხდება ადგილობრივ მონაწილეთათვის უპირატესობის მინიჭება. კონტრაქტები მიენიჭება კვალიფიციურ მონაწილეებს, რომელთა შემოთავაზება მოიცავს ყველაზე დაბალ ფასებს და რეალურად უპასუხებს ტენდერის მოთხოვნებს. კონტრაქტის მინიჭებამდე არანაირი მოლაპარაკებების წარმოება არ მოხდება. (ix) გრძელვადიანი (მაგ. თვრამეტ თვეზე (18) მეტი) სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების კონტრაქტები უნდა მოიცავდნენ პარაგრაფს ფასების სათანადო რეგულირების შესახებ. (x) არც ერთი შემოთავაზება არ დაიწუნება იმის გამო, რომ შემოთავაზებული ფასები აღემატება კონკრეტული შესყიდვის სავარაუდო ბიუჯეტს. ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ მოხდება შემოთავაზებების დაწუნება და ახალი შემოთავაზებების მოთხოვნა.
(გ) შოპინგი
(დ) პირდაპირი ხელშეკრულების დადება

(ბ) ქვემოდ მოყვანილ ცხრილში აღწერილია სხვა შესყიდვების მეთოდები, საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების მეთოდის გარდა, რომელთა გამოყენება შეიძლება საქონლისა და სამუშაოების შესყიდვისას, პროექტის "ბ" ნაწილის ფარგლებში. შესყიდვის გეგმა ასევე აღწერს იმ კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც ამგვარი მეთოდების გამოყენება იქნება შესაძლებელი:

<u>შესყიდვის მეთოდი</u>
(ა) შეცვლილი საერთაშორისო ტენდერი
(ბ) შეზღუდული საერთაშორისო ტენდერი
(გ) გამარტივებული ეროვნული ტენდერი, რომელიც ექვემდებარება ზემოთ მოყვანილ დამატებით დებულებებს

ეროვნული ტენდერის შესახებ, გარდა იმისა, რომ შემოთავაზებების მომზადების და ჩაბარების პერიოდი შეიძლება შემცირდეს არანაკლებ 15 დღემდე, შესაძლებელია გამარტივებული სატენდერო დოკუმენტების გამოყენება, რომლებიც მოწონებული იქნებიან ასოციაციის მიერ. ასევე, ტენდერის გარანტიის წარდგენა შესაძლოა არ გახდეს საჭირო და შემოთავაზებების წარდგენა მოხდეს ელექტრონულად, ისე, როგორც ამას ბანკი/ასოციაცია ჩათვლის საჭიროდ.
(გ) საყიდლების ყიდვა
(დ) პირდაპირი ხელშეკრულების დადება
(ე) შესყიდვები გაეროს სააგენტოებისგან

C. <u>საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის კონკრეტული მეთოდები</u>

1. **შერჩევა ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით.** გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ქვევით არის მოყვანილი პარაგრაფ 2-ში, კონსულტანტების მომსახურებების შესყიდვა მოხდება იმ კონტრაქტების ფარგლებში, რომლელთა შერჩევა მოხდება ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით.

2. **საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვის სხვა მეთოდები.** ა) ქვევით მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს შესყიდვის კონკრეტულ მეთოდებს, ხარისხისა და ფასის გათვალისწინების მეთოდის გარდა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია კონსულტანტების სერვისთან მიმართებაში. შესყიდვის გეგმა ასევე აღწერს იმ კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც ამგვარი მეთოდების გამოყენება იქნება შესაძლებელი.

შესყიდვის მეთოდი
(ა) შერჩევა ხარისხის გათვალისწინებით (QBS)
(ბ) შერჩევა მყარი ბიუჯეტის გათვალისწინებით (FBS)
(გ) შერჩევა ნაკლები ხარჯების გათვალისწინებით (LCS)
(დ) შერჩევა კონსულტანთა პროფესიონალური კვალიფიკაციის გათვალისწინებით (CQS)
(ე) საქონლის ან მომსახურების მხოლოდ ერთი წყაროდან შესყიდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით (SSS)
(ვ) ინდივიდუალური კონსულტანტები

(ბ) პროექტის "ბ" ნაწილის ფარგლებში კონსულტანთა პროფესიონალური კვალიფიკაციის გათვალისწინებით შერჩევის მეთოდის (CQS) გამოყენება იქნება შესაძლებელი, თუ კონტრაქტის ღირებულება აღემატება 200, 000 ა.შ.შ. დოლარს.

D. <u>შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემოწმება ასოციაციის მიერ</u>

შესყიდვების გეგმაში დადგენილი იქნება ის კონტრაქტები, რომლებიც საჭიროებენ ასოციაციის წინასწარ შემოწმებას. ყველა სხვა კონტრაქტი საჭიროებს ასოციაციის შემდგომ შემოწმებას.

ნაწილი IV. <u>დაფინანსების თანხების გამოთხოვა</u>

ა. ზოგადი.

1. სესხის მიმღები უფლებამოსილია გამოითხოვოს დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი რესურსები ზოგადი პირობების II მუხლის, წინამდებარე ნაწილის მოთხოვნებისა და წარდგენილი დამატებითი ინსტრუქციების შესაბამისად (2006 წლის მაისის "მსოფლიო ბანკის პროექტებისათვის ხარჯების ანაზღაურების ინსტრუქციები", რომლის ცვლილებასაც ასოციაცია დროდადრო ახორციელებს და რომელიც აღნიშნული ინსტრუქციების თანახმად გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებაში), დაშვებული ხარჯების დასაფინანსებლად, როგოც მომდევნო პარაგრაფ 2-ის ცხრილშია მოყვანილი.

2. წინამდებარე ცხრილში ნაჩვენებია კრედიტის თანხებიდან დასაფინანსებელი ხარჯების კატეგორიები ("კატეგორია"), თითოეული კატეგორიისათვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა და თითოეულ კატეგორიაში დასაფინანსებელი დაშვებული ხარჯების პროცენტული შეფარდება:

კატეგორია	გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა (სპეციალურ ნასესხობის	დასაფინანსებელი ხარჯების პროცენტულობა (გადასახადების გათვალისწინებით)

	ერთეულში)	
(1) სამუშაოები და საქონელი: (a) პროექტის ა.1 ნაწილისთვის (ბ) პროექტის ა.2 ნაწილისთვის (გ) პროექტის ბ ნაწილისთვის	 12,732,000 4,466,000 6,366,000	 60% 85% 50%
(2) საკონსულტაციო მომსახურება	1,856,000	80%_
(3) ტრენინგი	80,000	100%
სულ	25,500,000	

ბ. **თანხის გამოთხოვის პირობები; თანხის გამოთხოვის პერიოდი**

1. წინამდებარე ნაწილის "ა" პუნქტის დებულებების მიუხედავად, თანხის გამოთხოვა არ მოხდება იმ გადასახდელების მიმართ, რომლებიც განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც დაშვებული ხარჯებისათვის თანხის გამოთხოვა საერთო ოდენობით რომელიც არ აღემატება ექვს მილიონ ოთხასი ათას სპეციალურ ნასესხობის ერთეულის (SDR 6,400,000) ექვივალენტს განხორციელდება 2008 წლის 15 სექტემბერს ან შემდგომ.

2. **დახურვის თარიღია: 30 ივნისი, 2013 წელი.**

განრიგი 3

დაფარვის გრაფიკი

დაფარვის თარიღი	კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა (გამოსახული %-ში) *
ყოველ 15 იანვარს და 15 ივლისს, 2019 წლის 15 იანვრიდან და 2028 წლის 15 ივლისის ჩათვლით:	5%

* პროცენტებით გამოხატულია კრედიტის ძირითადი თანხის დასაფარი პროცენტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასოციაცია სხვაგვარად განსაზღვრავს, ზოგად პირობების 3.03 (ბ) ნაწილის შესაბამისად.

დანართი

დეფინიციები

1. "ანტი-კორუფციული ინსტრუქციები" ნიშნავს "IBRD სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების მეშვეობით დაფინანსებული პროექტების თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევებისგან დაცვის და მათთან ბრძოლის ინსტრუქციებს", დათარიღებული 2006 წლის 15 ოქტომბრით.

2. "კატეგორია" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის IV ნაწილის ცხრილში დადგენილ კატეგორიას.

3. "კონსულტანტის ინსტრუქციები" ნიშნავს "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების ინსტრუქციებს", გამოცემული მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში (ხოლო ცვლილებები შევიდა 2006 წლის ოქტომბერში).

4. "ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება" ნიშნავს პროცესს, რომლის მასშტაბი და კატეგორია დამოკიდებულია ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების კატეგორიაზე, რომელიც დადგინდება საინვესტიციო ქვეპროექტისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად და მოიცავს საინვესტიციო ქვეპროექტების განხორციელების შედეგად შესაძლო ეკოლოგიური რისკებისა და ზეგავლენის შეფასებას და ასევე იმ საშუალებების დადგენას, რომლებიც გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის, შემცირების ან კომპენსირების საშუალებას მოგვცემენ.

5. "ეკოლოგიური ექსპერტიზა" წარმოადგენს ყველა შემოთავაზებული საინვესტიციო ქვეპროექტების აუცილებელ განხილვას, მათი კატეგორიებათ დაყოფის მიზნით, შესაძლო ეკოლოგიური რისკების და ზეგავლენის მიხედვით, და ისეთი პროექტების გაცხრილვას, რომელთა განხორციელება გარემოსთვის ძალზედ საზიანო იქნება, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების საჭირო მასშტაბისა და კატეგორიის დადგენა, რომელიც გამოიყენება მოწონებული საინვესტიციო პროეტებისათვის.

6. "გარემოზე ზემოქმედების შეფასება" ან "EIA" ნიშნავს კვლევას, რომელიც ჩატარდება შერჩეული საინვესტიციო ქვეპროექტებისათვის, მათი განხორციელების შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების, ალტერნატიული გზების, შესამსუბუქებელი საშუალებების დაპროექტების, მართვისა და მონიტორინგის გზების დადგენის მიზნით.

7. "გარემოს დაცვის მართვის გეგმა" ან "EMP" ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც საინვესტიციო ქვეპროექტისთვის შემუშავდება, რომელშიც დეტალურად იქნება დადგენილი ის ღონისძიებები, რომლებიც პროექტის განხორციელებისა და ამოქმედების პერიოდში იქნება ჩატარებული, რათა თავიდან ავიცილოთ ან დავარეგულიროთ გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება, ან დავიყვანოთ ეს ზემოქმედება მისაღებ დონემდე, ასევე ის აქტივობები, რომლებიც ამ ღონისძიებების ჩატარებაში დაგვეხმარება.

8. "ზოგადი პირობები" ნიშნავს "საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებსა და გრანტებთან დაკავშირებული ზოგადი პირობებს", რომელიც 2005 წლის 1 ივლისს იქნა მიღებული (ხოლო ცვლილებები შეეიდა 2006 წლის 15 ოქტომბერს).

9. "საინვესტიციო დაფინანსების შეთანხმება" ნიშნავს შეთანხმებას მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულსა და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციის შორის, პროექტის მიზნებისთვის, სამოქმედო სახელმძღვანელოს დებულებების თანახმად.

10. "საინვესტიციო ქვეპროექტი" ნიშნავს შესაფერის ქვეპროექტს, რომელსაც განახორციელებს მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული, საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინასების ფარგლებში.

11. "საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსება" ნიშნავს კრედიტის თანხებიდან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულისათვის გამოყოფილ ან შეპირებულ დაფინანსებას, საინვესტიციო ქვეპროექტებისათვის.

12. "Lari" ნიშნავს სესხის მიმღების კანონიერ ვალუტას.

13. "MOF" ნიშნავს სესხის მიმღების ფინანსთა სამინისტროს.

14. "სამოქმედო სახელმძღვანელო" ნიშნავს 2008 წლის 17 სექტემბრით დათარიღებული და პროექტის განმახორციელებლის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს, რომელიც (ა) აღწერს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის საჭირო მმართველობით,

ფინანსურ, ადმინისტრაციულ, ინჟინრულ და გარემოს დაცვით პრინციპებსა და პროცედურებს, რომლებიც პროექტის განხორციელებისათვის არის საჭირო და იმ კრიტერიუმებს, რითიც მოხდება საინვესტიციო ქვეპროექტებისა და **მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების** შერჩევა; და (ბ) მოიცავს №2 დანართს "გარემოს შეფასების ინსტრუქციებს", სადაც მოცემულია ჩარჩო მოთხოვნები და პროცედურები ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მოსამზადებლად, რაც მოიცავს პროექტისათვის საჭირო გარემოზე ზეგავლენის შეფასებას და გარემოს დაცვის მართვის გეგმას, ამგვარად, სამოქმედო სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა დროდადრო იქნება შესაძლებელი ასოციაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

15. **"მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები"** ნიშნავს ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს, რომლებიც შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის №2304-IIს ორგანული კანონის საფუძველზე, და შეირჩა პროექტის "ა" და "ბ" ნაწილების თანახმად საინვესტიციო ქვეპროექტების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის დებულებების თანახმად.

16. "შესყიდვების ინსტრუქციები" ნიშნავს 2004 წლის მაისში (ცვლილებები შევიდა 2006 წლის ოქტომბერში) მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემულ ინსტრუქციებში "შესყიდვები IBRD სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ფარგლებში",

17. "შესყიდვების გეგმა" ნიშნავს სესხის მიმღების შესყიდვების გეგმას პროექტის მიზნებისათვის, რომელიც დათარიღებულია 2008 წლის 17 სექტემბრით და მოხსენებულია შესყიდვების ინსტრუქციების 1.16 პარაგრაფსა და კონსულტანტის ინსტრუქციების 1.24 პარაგრაფში, რომელიც დროდადრო შეიძლება განახლდეს აღნიშნული პარაგრაფების დებულებების გათვალისწინებით.

18. "პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია" ნიშნავს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №294 ბრძანებულებით, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

19. "პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის კანონმდებლობა" ნიშნავს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის

№118 დადგენილებით, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

20. "განსახლების სამოქმედო გეგმა" ან "RAP" ნიშნავს განსახლების სამოქმედო გეგმას, რომელიც ასოციაციის მიერ იქნება მოწონებული, და რომელსაც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია პროექტის შესრულების მიზნით მოამზადებს და განახორციელებს, განსახლების პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმის სხვა პრინციპებთან და ამოცანებთან ერთად მოიცავს დაზარალებულთათვის კომპენსაციის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიღების უფლების კრიტერიუმებს და მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხების მოგვარებას, განსახლების პოლიტიკის ფარგლებში.

21. "განსახლების პოლიტიკა" ნიშნავს სესხის მიმღების 2008 წლის 7 სექტემბრით დათარიღებულ სტრუქტურას, რომელიც მოწონებულია ასოციაციის მიერ, პროექტის ფარგლებში მიწის შეძენასთან დაკავშირებით, რისთვისაც ჩარჩოს ფარგლებში დადგენილია პროცედურები, რომელთა შესრულება აუცილებელია ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებისას, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჩარჩოში შესაძლოა დროდადრო მოხდეს ცვლილებების შეტანა, ასოციაციის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

22. "თანხის გადაცემის ხელშეკრულება" ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე შეთანხმების მე-2 განრიგის I.ბ ნაწილში და რომლის თანახმადაც სესხის მიმღები უზრუნველყოფს დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი რესურსების ხელმისაწვდომობას პროექტის შემსრულებელ ორგანიზაციისათვის.

23. "ტრენინგი" ნიშნავს სესხის მიმღების მიერ პროექტის "გ" ნაწილის ფარგლებში სასწავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაღებულ ხარჯებს, რაც მოიცავს სამგზავრო, სამივლინები ხარჯებს ტრენინგში მონაწილეთა და ტრენერთათვის, სასწავლო ტურების, სემინარების, კონფერენციების, და ან ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო ფართის, მასალებისა და საჭირო ხელსაწყოების იჯარით აღების ხარჯებს.